საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-3906/25
"05" 05 2025 წ. ფურც. 3

N11108
5.05.2025

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 743 2025 წლის 5 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით
საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის
დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნის თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს კანონის პროექტი - „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" - №10772; 30.04.2025 (საქართველოს პარლამენტში რეგისტრაციის №07-2/37; თარიღი: 30.04.2025);

ბ) ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ რეგულაციებთან ჰარმონიზაციის, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების სწრაფი და გადაუდებელი ამოცანების მიზნებიდან გამომდინარე.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონის

პროექტის - „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-2/37; 30.04.2025) დაჩქარებული წესით განხილვა.

3. განკარგულება წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე